პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____თებერვალი_____ 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქეების: დავით რეხვიაშვილისა
და გივი რეხვიაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ------ თებერვლის № ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: დავით რეხვიაშვილისა და გივი რეხვიაშვილისათვის 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

(დანართი წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების ერთი თვის საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-ზე შეადგენს 40 (ორმოცი) ლარს.

მუხლი 3. სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განთავსებისათვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი იუზა უგულავა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის 22 თებერვლის
№ -------- განკარგულების დანართი

პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქეების: დავით რეხვიაშვილისა და გივი რეხვიაშვილისათვის
სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი

№	მოიჯარე	პირადი/ საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი	საკადასტრო კოდი	ყოველთვიური საიჯარო ქირა	წლიური საიჯარო ქირა (ლარი)	დანიშნულება
1.	მოქალაქე დავით რეხვიაშვილი	60002013941	ქალაქი ქუთაისი, თაბუკაშვილის ქუჩა №32-ის აღმოსავლეთით	სკვერი	0.50 კვ.მ.	03.05.25.318			სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განთავსები სათვის
			ქალაქი ქუთაისი, კოსტავას ქუჩა №84-ის ჩრდილოეთით	ტროტუარი	0.50 კვ.მ.	03.03.27.533			
			ქალაქი ქუთაისი, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა №9-ის დასავლეთით	ტროტუარი	0.50 კვ.მ.	03.04.31.486			
			ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №72-ის ჩრდილო-აღმოსავლეთით	ტროტუარი	0.50 კვ.მ.	03.05.23.256			
			ქალაქი ქუთაისი, ნინოშვილის ქუჩისა და ჩეხოვის ქუჩის გადაკვეთა	ტროტუარი	0.50 კვ.მ.	03.04.31.734			

2.	მოქალაქე გივი რეხვიაშვილი	04001001828	ქალაქი ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №108-ის სამხრეთით	ტროტუარი	0.50 კვ.მ.	03.04.22.018			სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განთავსები სათვის

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი იუზა უგულავა